დანართი №1

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 დეკემბრის №01-06/19 რიგგარეშე სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №9ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 21.03.34.441) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 21.03.35.545) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №

2019 წლის --დეკემბერი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №9ᵃ-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ21.03.34.441) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია, ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №9ᵃ-ში მდებარე 1500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №21.03.34.441).

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო 2019 წლის 9 დეკემბრის №5/71885 წერილით ითხოვს ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №9ᵃ-ში მდებარე 1500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით სახელმწიფოსათვის გადაცემას.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს საჯარო რეესტრში თვითმმართველი თემის ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №9ᵃ-ში მდებარე 1500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №21.03.34.441).

2. ეთხოვოს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №9ᵃ-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ21.03.34.441) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესრულება რათა განხორციელდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა. სწორედ ამ მიზეზით ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შესაბამისი მოთხოვნით, სამართლებრივი აქტის - საკრებულოს განკარგულების პროექტით და თანდართული საქმის მასალებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია - გაცნობებთ, რომ სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო 2019 წლის 9 დეკემბრის №5/71885 წერილით ითხოვს თვითმმართველი თემის ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №9ᵃ-ში მდებარე 1500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №21.03.34.441) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას. შემდგომში სსიპ იუსტიციის სახლისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით. (იხ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და მასზე თანდართული დოკუმენტაცია რომელიც განკარგულების პროექტს თან ერთვის).

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების მიღება, რათა სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს საჯარო რეესტრში თვითმმართველი თემის ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №9ᵃ-ში მდებარე 1500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №21.03.34.441).

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა დროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე.

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

KA011896291057319

საქართველო, თბილისი 0154, აკ. წერეთლის გამზ. № 67ა; ტელ: (+995 32) 2 40 10 10 ცხელი ხაზი:(+995 32)2-40-40-20,
ელ.ფოსტა:online@sda.gov.ge, ვებ-გვერდი:www.psda.gov.ge

22 / ნოემბერი / 2019 წ. **N 01/328273**

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარეს,
ბატონ გიორგი დუგლაძეს

ბატონო გიორგი,

საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რომლის შესაბამისადაც, მის ფუნქციებს წარმოადგენს სახელმწიფო მომსახურების განვითარება-ხელშეწყობა, საჯარო სექტორში ინოვაციური სერვისების დანერგვა, მოსახლეობის რეესტრის წარმოება, სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაცემა, მოქალაქეობასთან დაკავშირებული პროცედურების წარმართვა, მიგრაციასთან დაკავშირებული საქმიანობა, დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება/ლეგალიზაცია და სხვ.

სააგენტო უსასყიდლოდ, აღნაგობის/უზუფრუქტის უფლებებით სარგებლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებით, რომელებზეც აშენებულია შენობა-ნაგებობები, სააგენტოს საზოგადოებრივი ცენტრებისათვის.

იგეგმება საზოგადოებრივი ცენტრების და შენობა-ნაგებობის საჯარო სამართლის იურიდიული პირის იუსტიციის სახლისათვის გადაცემა. შემდგომი სამართლებრივი პროცედურის სრულყოფილად წარმართვის კუთხით მნიშნელოვანია, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთები და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები დარეგისტრირდეს სახელმწიფო საკუთრებაში.

გთხოვთ, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად, მოახდინოთ ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის საზოგადოებრივი ცენტრის (საკადასტრო კოდი - 21.03.34.441) სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირების პროცესის დაწყება და სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტოს თავმჯდომარე

ზურაბ სანიკიძე

KA021738830581519

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/71885 09 / დეკემბერი / 2019 წ.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქედის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს

გაცნობებთ, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსულია სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 22.11.2019წ. № 01/328273 წერილი, რომელიც ეხება, ქედის მუნიციპალიტეტში, დაბა ქედაში, ტბელ-აბუსერიძის ქუჩა N19ა-ში მდებარე 1500.00 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N21.03.34.441) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხს.

გიგზავნით, ზემოხსენებულ წერილს. გთხოვთ, განიხილოთ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადმოცემის საკითხი, შემდგომში სსიპ იუსტიციის სახლისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

გიორგი დუგლაძე

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის -- დეკემბერი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 21.03.35.545) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს (როლანდი ბერიძე) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების (ს.კ21.03.35.545) - ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე 151 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **რომან დავითაძე**

განმარტებითი ბარათი

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ21.03.35.545) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“**-ზე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ21.03.35.545) პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის პროცედურებს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების დაწესებულ მოთხოვნების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელის მიღებაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას.

ასევე გაგიმარტავთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროდან შემოსულია წერილი (N03/869 09.09.2019 წელი) დაბა ქედაში ,,ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის პროექტის“ ფარგლებში ვეტერინარული კლინიკის მშენებლობის მიზნით ა(ა)იპ აგროსერვისცენტრისათვის მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. მიწის სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე აგრეთვე შემოსულია მოთხოვნა ა(ა)იპ აგროსერვისცენტრისაგან (წერილი Nაგრო 01/23 18.10.2019 წელი) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსაგან (წერილი N01-01-10/4707 26.09.2019 წელი). ზემოაღნიშნული ობიექტის მშენებლობა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის, კერძოდ მეცხოველეობის დარგის აღორძინებას და გააუმჯობესებს ბენეფიციარებზე შესაბამისი სერვისის მიწოდებას.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას, კერძოდ: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების (ს.კ21.03.35.545) - ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე 151 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემა.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ვ) ინდივიდუალური აქტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

ინდივიდუალური აქტის არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი (ს.ბოლქვაძე).

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

საქართველო
აჭარის ა.რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი
N(N) JP AGROSERVICE CENTRE
ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ.№46ა
ტელ.:+995 (422) 27 99 29
46 a, GOGEBASHVILI STR., BATUMI, GEORGIA
TEL.: +995 (422) 27 99 29

N აგრო-01/23
18/01/2019

23-აგრო-01-2-201901180953

ქედის მუნიციპალიტეტის
მერს ბატონ ლევან გორგილაძეს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ 2016 წლის 1 აგვისტოს ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრსა'' და ,,აგრობიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების'' ფონდს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ,,ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის პროექტის'' ფარგლებში აჭარის რეგიონში კერძოდ, ქობულეთსა და ხულოს მუნიციპალიტეტში აშენდა ვეტერინარული კლინიკა, რომელიც გამართულად ფუნქციონირებს და ემსახურება ადგილობრივ მოსახლეობას. მიმდინარე წელს ქედის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი გვაქვს ვეტერინარული კლინიკის მოწყობა. აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით, ქედის მუნიციპალიტეტის ცენტრის ტერიტორიაზე გვესაჭიროება 130-150 კვ. მეტრამდე მიწის ნაკვეთი.

გთხოვთ, შესაძლებლობის ფარგლებში აღმოგვიჩინოთ დახმარება მიწის გამოყოფასთან დაკავშირებით.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

გოჩა ბერიძე

დირექტორი
ა(ა)იპ„აგროსერვისცენტრი"

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66

4707-01-01-10-2-201909261438

N 01-01-10/4707
26/09/2019

ქედის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლევან გორგილაძეს

ასლი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ასლი: ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრს"
მის.: ქ. ბათუმი, ი. გოგებაშვილის ქ. N46ა
ს/ნ 445399391

გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში შემოსულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 9 სექტემბრის N03/869, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის" 2019 წლის 9 სექტემბრის N აგრო-01/2257 და 19 სექტემბრის N აგრო-01/275 წერილები, სადაც დასმულია საკითხი ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, დაბა ქედაში 9 აპრილის ქუჩაზე არსებული 853 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 21.03.35.512) ნაწილის (დაახლოებით 130-150 კვ.მ) ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრისათვის" უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე, შემდგომში ვეტერინარული კლინიკის მოწყობის მიზნით.

გიგზავნით ზემოხსენებულ წერილებს თანდართულ მასალებთან ერთად და გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრება, ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული დაბა ქედაში 9 აპრილის ქუჩაზე არსებული 853 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 21.03.35.512) ნაწილის (დაახლოებით 130-150 კვ.მ), აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე, შემდგომში ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრისათვის" უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

დანართი: „6" ფურცელი და ერთი კომპაქტური დისკი.

პატივისცემით,

ჯაბა ფუტკარაძე

მინისტრი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF AGRICULTURE

N 03/869
09/09/2019

869-03-2-201909091733

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

ბატონო ჯაბა,

გეგზავნებათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემოსული ა(ა)იპ - აგროსერვის ცენტრის 05/09/2019წ. Nაგრო-01/257 კორესპონდენცია, ქედის მუნიციპალიტეტში ვეტერინარული კლინიკის მოსაწყობად ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 130-150 კვმ მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ, არსებობის ვადით გადაცემასთან დაკავშირებით.

გთხოვთ, განიხილოთ.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

მამუკა თურმანიძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

საქართველო, ქ.ბათუმი 6010
ა.კ. მ. კომახიძის ქ. N119

N119. AC. M.KOMAKHIDZE STR.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქედის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
KEDA MUNICIPALITY CITY HALL

N 03/5613
30/10/2019

5613-03-2-201910301449

აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის

მინისტრს ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

ბატონო ჯაბა,

თქვენს მიერ 2019 წლის 26 სექტემბერს გადმოგზავნილი N01-01-10/4707 წერილის პასუხად, რომლითაც მოითხოვთ დაბა ქედაში, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე 853 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 21.03.35.512) 150 კვ. მეტრი ფართის გადმოცემას, შემდგომში მასზე ვეტერინარული კლინიკის აშენების მიზნით გაცნობებთ, რომ მუნიციპალიტეტის მერია თანახმაა აღნიშნული პირობებით მოთხოვნილი მიწის ფართობის გადმოცემაზე.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ზემოთაღნიშნული 853 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთისაგან, მოთხოვნილი 150 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის ცალკე ერთეულად დარეგისტრირების პროცედურა, რის შემდგომ განიხილება საკითხი მისი გადმოცემის თაობაზე.

პატივისცემით,

ლევან გორგილაძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 902019013426 - 04/12/2019 17:31:55

მომზადების თარიღი
10/12/2019 12:05:25

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ქედა	დაბა ქედა		
21	**03**	**35**	**545**

მისამართი: დაბა ქედა. 9 აპრილის ქუჩა

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 151.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **21.03.35.512;**

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019643042 , თარიღი 07/08/2019 15:37:07
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 08/08/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N1/1-2409 , დამოწმების თარიღი:16/07/2019 ,სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
სსიპ ქედის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:246762061

მესაკუთრე:
სსიპ ქედის მუნიციპალიტეტი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge